საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# ბრძანება

თბილისი

MES 5 22 0000288404

21/03/2022

**„გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2022 წლის 11 იანვრის N10532 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილესა და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილების განაწილების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 11 იანვრის N11258 ბრძანების მე-3 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2022 წლის 15 მარტის N261421 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2022 წლის 11 იანვრის N10532 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების" პროგრამა (პროგრამული კოდი 32 04 02 03) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
მიცკევიჩი ნუნუ

ნ. მიცკევიჩი